

ძველი გერმანიკული ენების ლექსიკა

გერმანიკული ენების ლექსიკა ჰორიზონტალურ ჭრილში შედგება მშობლიური სიტყვებისა და ნასესხებისაგან. ვერტიკალურ ეტიმოლოგიურ ჭრილში კი მშობლიურ სიტყვებში გამოიყოფა საერთო გერმანიკული ლექსიკა და საერთო ინდოევროპული ლექსიკა.

გერმანიკული ენების ლექსიკის უძველეს შრეს საერთო ინდოევროპული წარმოშობის სიტყვები შეადგენს. ეს სიტყვები ინდოევროპული ერთობის პერიოდს განეკუთვნება და დადასტურებულია ინდოევროპულ ენათა ოჯახის ბევრ ენაში.

ინდოევროპული წარმოშობის ეტიმოლოგიური შრის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო მასალას გვაწვდის თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის წიგნი

„ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“. აღნიშნული წიგნის მეორე ტომი მთლიანად ეთმობა საერთო ინდოევროპული ენის სემანტიკური ლექსიკონის რეკონსტრუქციას. ავტორების მიერ რეკონსტრუირებულ ლექსიკონში წარმოდგენილია ის თემატური ჯგუფები, რომლებიც შეადგენენ ამ ლექსიკონს.

1. ღმერთები, ადამიანები, ცხოველები - „სულიერის“, „ცოცხალის“ სამყარო;
2. „შუა სამყაროს“ ცხოველები;
3. „ქვედა სამყაროს“ ცხოველები;
4. „ზედა სამყაროს“ ცხოველები;
5. რიტუალურად ადამიანთან ახლოს მდგომი ცხოველები;
6. რიტუალურად ადამიანისაგან დაშორებული ცხოველები;
7. მცენარეული სამყარო;
8. გარემომცველი გეოგრაფიული გარემო, ჰავა, ციური სხეულები;
9. სამეურნეო საქმიანობა, ხელობები, ტრანსპორტი;
10. სოციალური ორგანიზაცია, ეკონომიკა, ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები და სხვ.

ყოველ თემატურ ჯგუფში შედის ცალკეული სიტყვები. მაგალითისათვის, შეიძლება განვიხილოთ ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები: მამა, დედა, და, ძმა და სხვ., რომლებიც საერთო ინდოევროპულ შრეს განეკუთვნებიან.

დედა

ძვ. ინდ. **mātār**; ძვ. სპარს. **mātar**; სომხ. **mayr**; ძვ. ირლ. **màthir**; ძვ. ზ. გერმ. **muoter**; ძვ. ინგ. **mōdor**; ლატვ. **māte**; პრუს. **mūti, mothe**; ძვ. სლავ. **mati**.

მამა

ძვ. ინდ. **pitār**; ავესტ. **pitar**; სომხ. **hayr**; ბერძ. **patēr**; ლათ. **pater**; ძვ. ირლ. **athir**; გოთ. **fadar**; ძვ. ინგ. **fæder**; ძვ. ზ. გერმ. **fater**.

ძმა

ძვ. ინდ. **bhrātār**; ძვ. სპარს. **brātār**; სომხ. **etbayr**; ლათ. **frāter**; ძვ. ირლ. **brath(a)ir**; გოთ. **brōþar**; ძვ. ისლ. **broðir**; ძვ. ზ. გერმ. **bruoder**; ძვ. ინგ. **brōþor**; პრუს. **brāti**; ლიტ. **broterėlis**; ძვ. სლავ. **brat(r)ŭ**.

და

ძვ. ინდ. svàsar; ლათ. soror; ძვ. ირლ. siur; გოთ. swistar; ძვ. ისლ. systur; ძვ. ინგ. sweostor; ძვ. ზ. გერმ. swester; პრუს. swesto; ძვ. სლავ. sestra.

ქვრივი

ძვ. ინდ. vidhàvā; ლათ. uidua (გამორებული ან გაუთხოვარი ქალი); გოთ. widuwō; ძვ. ინგ. widuwe; ძვ. ზემო გერმ. wituwa; პრუს. widdewu; ძვ. სლავ. vŭdova „ВДОВА”.

ქალი, ცოლი

ინდოევროპული *k'en

ძვ. ინდ. jani; სპარს. zan; სომხ. kin; გოთ. qinō; ძვ. ზ. გერმ. quena; ძვ. ინგ. cwene; პრუს. genno; ძვ. სლავ. žena.

მზე

ძვ. ინდ. sūvar; ლიტ. saule; პრუს. saule; ძვ. სლავ. slŭnīce; გოთ. sauil; ძვ. ზ. გერმ. sunna; ძვ. ინგ. sunne; ლათ. sōl.

საერთო ინდოევროპულ ეტიმოლოგიურ შრეს განეკუთვნება ცხოველებისა და მცენარეების სახელებიც:

ხე, მუხა

ხეთ. taru; ძვ. ინდ. dāru; ალბ. dru; ძვ. ირლ. daur; გოთ. triu; ძვ. ისლ. trē; ძვ. ინგ. trēo; ძვ. საქს. trio; ძვ. სლავ. drŭvo; ლიტ. dervà „ფიჭვი”.

ვამლი

ძვ. სლავ. ablŭko; ბულგ. аблъко; ძვ. პოლ. jablo; ლატვ. ābele; ძვ. ინგ. æppal; ძვ. ზ. გერმ. apful; გოთ. apel.

თაგვი

ძვ. ინდ. mūs; სპარს. mūš; ბერძ. mŭs; სომხ. mukn; ძვ. სლავ. myšī; ლათ. mūs; ძვ. ისლ. ძვ. ზ. გერმ. ძვ. ინგ. mūs.

მამალი, დედალი

ლათ. gallus „მამალი” (შდრ. ძვ. სლავ. glasŭ „ხმა”, რუს. голос); გოთ. hana; ძვ. ზ. გერმ. heno „მამალი”; ძვ. ინგ. henn „დედალი”; ძვ. ისლ. heni.

ყურძენი, ღვინო

ხეთ. ujana „ღვინო”; მიკენური ბერძ. wono „ღვინო”; სომხ. gini; ალბ. vënë; ლათ. uinum; გოთ. wein; ძვ. ინგ. wīn; ძვ. ზ. გერმ. wīn; ძვ. სლავ. vino; პოლ. wino.

ინდოევროპული სახელწოდება „ღვინოსათვის” მსგავსია მისი წინააზიური სახელებისა.

მაგ. არაბ. wain; ძვ. ებრ. jajin; ეგვიპტ. wnš; ასევე სამხრეთკავკასიურ ანუ ქართველურ ენებში აღდგენილია ფორმა *ywino.

მაშასადამე, ეს სიტყვა გვხვდება როგორც ინდოევროპულ, ისე სემიტურ და ქართველურ ენებში. ასეთ ტერმინებს თ. გამყრელიძე „მიგრაციულ” ტერმინებს

უწოდებს. ეს ტერმინი სავარაუდოდ ერთი ენიდან მეორეში გადადიოდა იმ პერიოდში, როდესაც ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ დაშლილი ცალკეულ ენებად. მაგრამ როგორც ჩანს, უძველესი კერა ღვინისა და ყურძნისა, ვაზისა არის კავკასია. ვაზის კვალი კავკასიაში აღმოჩენილია ძვ. წ. V- IV ათასწლეულის კულტურულ შრეში.

უაღრესად საინტერესოა ინდოევროპული წამოშობის სიტყვების მსგავსება იმ რიტუალურ თუ სხვა სახის წარმოდგენებთან მიმართებაში, რაც მათ უკავშირდება.

მგელი. ამ სიტყვის სემანტიკა ინდოევროპულში რამდენიმე ლექსემითაა წარმოდგენილი **ul̥k*^[h] და **ulp*^[h]

ძვ. ინდ. *vr̥kaha*; ავესტ. *vahrka*; ძვ. სლავ. *vilkŭ*; ლიტ. *vilkas*; ალბ. *ulk*; ხეთ. *ulippana*; გოთ. *wulfs*; ინგ. *wolf*; ლათ. *lupus*.

მგელი ინდოევროპულ ენაში რიტუალური დანიშნულების იყო. მაგ. ძველხეთურ ტრადიციაში იგი საკრალური თვისებების განსახიერებადაა მიჩნეული და ერთიანობისა და ყოვლისწვდომის სიმბოლოა (всеведение).

საყურადღებოა მგელი ხეთური რიტუალის პარალელი გერმანიკულ ენებში, სადაც მეომრებს აღწერენ როგორც მგლებს.

მაგ. ძვ. ინგ. *heoruwulfas*, *waewlfas* „მეომარი-მგლები“.

საინტერესოა, რომ ბიზანტიაში საკმაოდ დიდხანს შობის დღესასწაულის დროს აღადგენდნენ მგლების ტყავში გახვეული გოთი მეომრების რიტუალურ ცეკვებს. ასევე ნიშანდობლივია „მგლის“ მნიშვნელობის მქონე ლექსემის ხშირი გამოყენება გერმანიკულ საკუთარ სახელებში:

გოთ. *Ulfilas*; ძვ. ისლ. *Ulf-bjorn*; *Bjorn-olfr*; ძვ. ზ. გერმ. *Wulf-bero*; ძვ. ინგ. *Bēo-wulf*.

ინგლისური ენის ლექსიკის მეორე უმნიშვნელოვანეს შრეს გერმანიკული წარმოშობის სიტყვები შეადგენენ. ეს სიტყვები საერთო გერმანიკული ერთობის პერიოდს განეკუთვნებიან და ამ ენიდან შევიდნენ სხვადასხვა გერმანიკულ ენებში.

ძვ. ინგ. *bidan* - „თხოვნა, ხვეწნა“; ძვ. ზ. გერმ. *bitten*; ძვ. სკანდ. *biðja*; გოთ. *bidjan*.

ძვ. ინგ. *Ze-byrd* - „დაბადება, წარმოშობა“; ძვ. ზ. გერმ. *Geburt*; ძვ. სკანდ. *byrð*, *byrðr*; გოთ. *gabaurþs* - „დაბადება“.

ძვ. ინგ. *cicen*; ქვემო გერმ. *küken* (*küchlein*); ძვ. სკანდ. *kiuklingr*.

ძვ. ინგ. *fyllan*; ძვ. ზ. გერმ. *füllen*; ძვ. სკანდ. *fylla*; გოთ. *fulljan*.

ძვ. ინგ. *findan*; ძვ. ზ. გერმ. *finden*; ძვ. სკანდ. *finna*; გოთ. *finþan*.

ძვ. ინგ. *flæsk* „ხორცი“; ძვ. ზ. გერმ. *Flisch*; ძველი სკანდ. *flesk* („ღორის ხორცი“).

თუ ინდოევროპული წარმოშობის სიტყვები სხვადასხვა ინდოევროპულ ენაში გვხვდება, გერმანიკული ლექსიკა მხოლოდ გერმანიკული ენების ლინგვისტური ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი. გერმანიკული სიტყვები აღმოცენდა პროტო-გერმანიკულში, მისი დიფერენციაციის შედეგად შეაღწია სხვადასხვა გერმანიკულ

ენებში და ამ ენების ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. გერმანიკული წარმოშობის სიტყვები, ანუ გერმანიკული ლექსიკა წარმოადგენს გერმანიკული ენების საერთო ლინგვისტურ ნიშანს ლექსიკურ დონეზე და ამ ენობრივ დონეზე გერმანიკულ ენებს მიჯნავს ინდოევროპული ენების სხვა შტოებისგან.